

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

01.12.2017 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №23

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2017 წლის 1 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1.1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.2. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.3. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.4. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.5. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.6. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.7. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენისა და ცნობის გაცემის წესისა და ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სატელეფონო მომსახურების ლიმიტისა და საწვავის ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.9. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.10. გაუქმებული თვითმმართველი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის განხორციელებისათვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

1.11. სხვადასხვა საკითხები.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature in blue ink.

მამუკა წოწერია